

30/05/2019

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორის

ბრძანება #101

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ მიერ მცირე კვლევითი გრანტების კონკურსის გამოცხადების შესახებ

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ წესდების მე-5 მუხლის, პირველი და მე-2 პუნქტების, მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და ამავე უნივერსიტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 29 მაისი მოხსენებითი #280 საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს მცირე კვლევითი გრანტების კონკურსი ინდივიდუალურ მკვლევარის ან მკვლევართა ჯგუფისთვის, რომლებიც წარმოადგენენ უნივერსიტეტის აკადემიურ ან მოწვეულ პერსონალს ან მაგისტრატურის სტუდენტებს ან კურსდამთავრებულებს.
2. კონკურსის ვადად განისაზღვროს შემდეგი თარიღები:
  - კონკურსის გამოცხადება - 2019 წლის 3 ივნისი
  - განცხადებების მიღება - 2019 წლის 3 ივნისიდან
  - განაცხადების მიღების ბოლო ვადა - 2019 წლის 3 ივლისი
  - კონკურსის შედეგების გამოცხადება - 2019 წლის 17 ივლისი
3. საკონკურსო პირობები დამტკიცდეთ დანართი 1-ის სახით.
4. დაევალოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაინტერესებული მხარეებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოცემისთანავე.

აკაკი ხელაძე

რექტორი